საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №34

ქ. ბათუმი

1 მარტი, 2018 წ.

ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 21–ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებისა საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენ-ტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის თანდართული წესი (**დანართი№1**).

2. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, **ბსუ-ის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურს,** სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

3. წინამდებარე დადგენილების ვებგვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისი საუნივერსიტეტო განცხადების ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველში („უცხოელთათვის") განთავსება და რექტორის ბრძანებით დასამტკიცებული განაცხადის ფორმის პროექტის მომზადება და ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა დაევალოს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.

5. დადგენილება გავრცელდეს 2018 წლის მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი — მერაბ ხალვაში

,,დამტკიცებულია'
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის
1 მარტის №34 დადგენილებით.
დანართი №1

ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი (შემდეგში - ,,წესი") არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - „ბსუ") ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურას შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) ქართულ ენაში მომზადების 60 -კრედიტიან პროგრამაზე;

ბ) საბაკალავრო პროგრამაზე;

გ) დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე **(მათ შორის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე);**

დ) სამაგისტრო პროგრამაზე.

2. წინამდებარე წესის მიზანია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა (შემდეგში ,,ბსუ-ში სწავლის მსურველი") **ბსუ-ში ჩარიცხვის პროცედურების დადგენა, ასევე სტუდენტთა მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.**

3. ბსუ-ში სწავლის მსურველის ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურების წარმართავს და კოორდინაციას უზრუნველყოფს **ბსუ-ის სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი (შემდეგში ,,დეპარტამენტი"),** ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე.

4. ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადება-გამოცემა ხორციელდება ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების **(შემდეგში ,,მინისტრის ბრძანება"),** ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანებისა და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირები

1. **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლა დასაშვებია:**

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. **საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლა დასაშვებია:**

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც რომლებიც არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია** ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის, დიპლომირებული

მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ ბსუ გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ ბსუ-ს ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ბსუ-ში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით განცხადებით მიმართონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდეგში – ცენტრი). ცენტრში განცხადებით მიმართვა ხდება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და რომლის მიღება ასევე შესაძლებელია ცენტრში.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო).

მუხლი 3. ბსუ-ში სწავლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა წარმოადგინოს განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე და დაურთოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ნაცვლად უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა, განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

2. **საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ბსუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველმა უნდა წარმოადგინოს განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე და დაურთოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტები:**

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის **ნაცვლად** უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა, განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის **გარდა**, განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ე) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ამ პუნქტის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის გარდა უნდა წარმოადგინონ:

ე.ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;

ე.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვას.

ვ) წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის **გარდა** უნდა წარმოადგინონ წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი.

3. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

4. უცხო ენაზე შედგენილი მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული (იგივე წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი) დოკუმენტები

სამინისტროსათვის/ცენტრისათვის წარდგენამდე უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

5. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია ბსუ-ში სწავლის მსურველმა შესაძლებელია წარმოადგინოს:

ა) ელექტრონული სახით - ბსუ-ს ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე - info@bsu.edu.ge

ბ) მატერიალური სახით - ბსუ-ს კანცელარიაში (ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსის პირველი სართული, N1 ოთახი).

6.. განცხადება ბსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ უნდა შეივსოს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით).

7. ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გადაეცემა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, რომელიც ვაკანტური ადგილების არსებობის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვაზე (მიღებაზე) ბსუ-ს თანხმობის კორესპონდენციის მომზადებისა და გაცემის პროცედურას (გასაცემი თანხმობის წერილი ვიზირებული უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ).

მუხლი 4. ბსუ-ს თანხმობა ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვაზე (მიღებაზე)

1. ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემისათვის (მათ შორის, როცა მსურველთა რაოდენობა აღემატება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების რაოდენობას) შესაძლებელია **შესაბამისი ფაკულტეტის ინიციატივით ან/და რექტორის ბრძანებით** ბსუ-ში სწავლის მსურველისათვის დაწესდეს შემდეგი წინაპირობები:

ა) **აბიტურიენტობის კანდიდატისათვის** - გამოცდა ან/და გასაუბრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში;

ბ) **მაგისტრანტობის კანდიდატის/მაგისტრანტისათვის** - გამოცდა ან/და გასაუბრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში და ფაკულტეტის/სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (სპეციალობაში).

2. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

3. უცხო ენის წერილობითი გამოცდა (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ტარდება ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენის მიმართულების, წინამდებარე წესში აღნიშნული დეპარტამენტისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის ერთობლივი ადმინისტრირებით (კანდიდატთა გამოცდისა და შეფასების წესის შესახებ ინფორმაცია წინასწარ გამოქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველში).

4. ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის წერილობითი მომართვის, წინამდებარე წესის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ბსუ-ში ვაკანტური ადგილების

გათვალისწინებით გაიცემა წერილობითი თანხმობა ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ჩარიცხვის (მიღების) შესაძლებლობის თაობაზე, რომელშიც მიეთითება ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის სახელი, გვარი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.

5. ბსუ-ს წერილობითი თანხმობა, წინამდებარე წესის მე-2 მუხლში აღნიშნულ შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად ბსუ-ში სწავლის მსურველის მიერ წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს/საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 5. ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვება

1. ბსუ-ს წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ ცენტრში/სამინისტროში წარდგენილი ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება ამ პირისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდეგში ,,უსდ“), კერძოდ, ბსუ-ში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე.

2. ბსუ-ში სწავლის მსურველი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, მინისტრის ბრძანების გამოცემის შემდეგ გონივრულ ვადაში წარმოადგინოს (გამოცხადდეს) ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე სტუდენტის პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაცია მატერიალური სახით.

3. ბსუ-ში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, როგორც წესი, სწავლის მსურველის განცხადებისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მინისტრის ბრძანებით ბსუ-ში სწავლის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი და ინფორმაციას (არსებობის შემთხვევაში პირისათვის აღიარებული კრედიტების შესახებ დასკვნასთან ერთად) წარუდგენს ბსუ-ს რექტორს.

4. შესაბამისი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივ აქტს ამზადებს დეპარტამენტი. ამავე აქტით სტუდენტს განესაზღვრება ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი და აღიარებული კრედიტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შესაბამისად, ბსუ-ში სწავლების სემესტრი. ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში, შესაბამისი სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყებიდან **არაუგვიანეს 4 კვირისა.**

5. დასაშვებია ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლი-სურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირების ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტი გამოიცეს მათთან ხელშეკრულების გაფორმებამდე (მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე მათი თანხმობის ან/და ნების სხვაგვარი გამოხატვის შემთხვევაში), რომელთაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით მოიპოვებენ ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებას და საქართველოს ვიზის მისაღებად მიმართული ექნებათ (ან მიმართავენ) საქართველოს საელჩოს შესაბამის ქვეყანაში (ბრძანება უნდა მომზადდეს ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე და იმ დათქმით, რომ მინისტრის ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში უფლებამოპოვებული პირის ბსუ-ს სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევაში ბათილად იქნება ცნობილი ამ პირის ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბრძანება და ეცნობება შესაბამის საელჩოს).

6. ბსუ-ში სწავლის უფლებამოპოვებული პირის ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს სამართლებრივი აქტი აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ ჩაბარდება სტუდენტს და განთავსდება მის პირად საქმეში.

7. წინამდებარე წესის შესაბამისად ბსუ-ში ჩარიცხული პირის ბსუ-ში სწავლა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, შესაბამისად, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისი უზრუნველყოფს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ამ სტუდენტის დარეგისტრირებას (მათ შორის აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის შეტანას).

მუხლი 6. სწავლის საფასური

1. წინამდებარე წესის შესაბამისად ბსუ-ში ჩარიცხული პირების სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება:

ა) საქართველოს მოქალაქეებისათვის - ჩარიცხვის წლისათვის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის დადგენილი საუნივერსიტეტო საფასურის (ტარიფების) შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში (ლარში);

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირებისათვის - ჩარიცხვის წლისათვის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის დადგენილი საუნივერსი-ტეტო საფასურის (ტარიფების) შესაბამისად უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში);

გ) ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირებისათვის (რომელთა ჩარიცხვა ინიცირებულია კერძო სამართლის იურიდიულ პირთან დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე) - ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ოდენობით.

2. წინამდებარე წესის საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდის ვადა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) და გადაუხდელობის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები (სტატუსის შეჩერება/შეწყვე-ტა/აღდგენა) განისაზღვრება ბსუ-ში მოქმედი სწავლის საფასურის გადახდის წესით (განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, სტუდენტის გზამკვლევის თანდართულ დოკუმენტებში).